KA015574635164016

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. № 2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის და მასზე განთავსებული მიწისქვეშა შენობა-ნაგებობა №2-ის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

№322/ს **23** / მ ა ი ს ი / **2016 წ.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების", სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის 18.03.2016 წლის №1760 და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 22.03.2016 წლის №5/13364 წერილების, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს 21.04.2016 წლის №01.19.0948 დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განხორციელდეს სსიპ-იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებიდან, მდებარე ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.18.03.003.024), არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ნაწილის, კერძოდ 10886 კვ.მ. მიწის ფართის (ბრძანებაზე თანდართული მონიშნული ნახაზის შესაბამისად - დანართი №1) და მიწისქვეშა შენობა-ნაგებობა №2 საერთო ფართით - 10851 კვ.მ. იჯარით გაცემა, ფასიანი ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით.
2. საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 20 000 (ოცი ათასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 100 (ასი) ლარით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 60 000 (სამოცი ათასი) ლარით, რომლის მოქმედების ვადა 7 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სარგებლობაში გაცემის ვადას.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2016 წლის 23 მაისს და გაგრძელდეს 7 (შვიდი) დღის ვადით.
5. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემისთვის დადგინდეს შემდეგი პირობები:
ა) იჯარის საგანი გამოყენებულ იქნას მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მოიჯარემ მოუაროს მას და მკაცრად დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესები; მეიჯარის თანხმობის გარეშე არ განახორციელოს სხვა

საქმიანობა, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულისა;

ბ) განხორციელდეს ავტოსადგომის ტერიტორიაზე არანაკლებ 4 შესასვლელისა და 4 გასასვლელის მოწყობა (შესაბამისი სამუშაოების ჩატარება). თითოეულ შესასვლელსა და გასასვლელში უნდა განხორციელდეს ავტოსადგომის პარკირების მართვის სისტემის და შლაგბაუმის მონტაჟი (ავტოსადგომზე დამონტაჟებულმა სისტემამ უნდა შეძლოს შლაგბაუმის გაღება შესაბამისი იმპულსის/სიგნალის მიღებიდან არაუმეტეს 3 წამში). ამასთანავე ყველა გასასვლელთან უზრუნველყოფილ იქნას საფასურის გადახდის მიზნით ჯიხურების (ჯიხური აღჭურვილი უნდა იქნას ორ, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს ფანჯრებით, რათა ავტოსადგომის მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელი იყოს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა საჭიანი ავტომანქანების მძღოლებისთვის შეუფერხებლად) მონტაჟი და შესაბამისი საანგარიშსწორებო მომსახურების სისტემის არსებობა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება თანხის გადახდა, როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით;

გ) ავტოსადგომის შესასვლელებსა და გასასვლელებში დამონტაჟებულმა სისტემამ პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით უნდა განახორციელოს თითოეული ავტომანქანის შემოსვლისა და გასვლის ზუსტი დროის აღრიცხვა და შესაბამისი საფასურის დაანგარიშება;

დ) განხორციელდეს ავტოსადგომის მიწისზედა და მიწისქვეშა სართულების, ასევე მიწისქვეშა სართულზე არსებული მზიდი ბოძების მოხაზვა/მონიშვნა, სანავიგაციო და სხვა ნიშნების განთავსება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) ავტოსადგომის მთლიანი ტერიტორია (მიწისზედა და მიწისქვეშა სართულები) აღიჭურვოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით (კამერები ისე უნდა იქნას დამონტაჟებული, რომ შესაძლებელი იყოს სადგომზე ჩადენილი ნებისმიერი სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირება: ქურდობა, ავტომობილის დაზიანება და ა.შ.). ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის ჩამწერი მოწყობილობა განთავსდება იუსტიციის სახლში და საჭიროების შემთხვევაში, კამერის ჩანაწერის ამოღება მოხდება იუსტიციის სახლისათვის მიმართვის გზით. მოიჯარეს ექნება მხოლოდ კამერის ონლაინ რეჟიმში თვალყურის დევნების საშუალება;

ვ) ავტოსადგომის მიწისქვეშა სართულზე ავტომანქანის უსაფრთხო ჩასვლისა და მიწისქვეშა სართულიდან ამოსვლის უზრუნველსაყოფად, განხორციელდეს მიწისქვეშა სართულის ჩასასვლელისა და ამოსასვლელი პანდუსების შეკეთება (პანდუსების დახრის რეგულირება და ბეტონის ტიპის მოაჯირების მოპირკეთება არსებულის მსგავსი ფილებით);

ზ) ავტოსადგომის მიწისზედა სართულზე განხორციელდეს ველოსიპედებისათვის სპეციალური სადგომის მოწყობა (არანაკლებ 20 ერთეული) და შშმ პირებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაოდენობის სადგომის გამოყოფა;

თ) უზრუნველყოფილ იქნას, ავტოსადგომის ტერიტორიაზე საჭირო რაოდენობის თანამშრომლების განთავსება, ავტოსადგომზე შემოსული ავტომობილების სწორი/მოწესრიგებული გადაადგილებისა და განთავსების, ასევე, ავტოსადგომის მომსახურების საფასურის შეუფერხებლად გადახდის მიზნით;

ი) სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, განხორციელდეს იუსტიციის სახლის მიერ მოთხოვნილი ავტომანქანების (ნებისმიერი რაოდენობა) ავტოსადგომის ტერიტორიაზე უფასო დაშვება განუსაზღვრელი ვადით;

კ) უზრუნველყოფილ იქნას ავტოსადგომის ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი სამართალდარღვევის ფაქტის იდენტიფიცირება და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის სამართალდამცავი ორგანოებისათვის (საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი სხვა უწყებისათვის) მიწოდება;

ლ) იჯარის მოქმედების ვადაში განხორციელდეს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, ტექნიკური ექსპლუატაციის, სანიტარულ-ჰიგიენური, უსაფრთხოების (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო) წესებისა და ნორმების დაცვა, აგრეთვე მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესების დაცვა;

მ) იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ ან მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის საფუძველზე მეიჯარის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, საიჯარო ქონებაზე განხორციელებული გაუმჯობესებები (შლაგბაუმი, ვიდეო სამეთვალყურეო კამერა და სხვა) გადადის სსიპ - იუსტიციის სახლის საკუთრებაში; სხვა საფუძვლით იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე უფლებამოსილია განახორციელოს საიჯარო ქონებაზე განხორციელებული გაუმჯობესებების დემონტაჟი და წაღება;

ნ) ავტოსადგომის მომსახურების სტანდარტი განისაზღვროს ბრძანების დანართი №2 შესაბამისად (ავტოსადგომზე დასაქმებული პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული სტანდარტი);

ო) სსიპ - იუსტიციის სახლის მოთხოვნის შემთხვევაში, განხორციელდეს ავტოსადგომზე დასაქმებული პირების ან მათი რაოდენობის ცვლილება;

პ) საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში;

ჟ) ავტოსადგომის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით. ამასთანავე სამუშაოს შესრულების შედეგად დამდგარ ზიანზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრება მოიჯარეს;

რ) ავტოსადგომის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს ორშაბათიდან-პარასკევამდე 18:00 საათის შემდეგ და შაბათ-კვირას ნებისმიერ დროს იმდაგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს სსიპ - იუსტიციის სახლს ავტოსადგომით სარგებლობაში;

ს) შეთანხმდეს იუსტიციის სახლთან იჯარის საგნის მოწყობის, ფუნქციონირებისა და მისი გაფორმების საკითხები, შემდგომში მასში დაგეგმილი ყველა ცვლილება, ასევე საქმიანობის პროცესთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია იუსტიციის სახლის საქმიანობასთან;

ტ) ავტოსადგომის შესასვლელებში უზრუნველყოფილ იქნას იუსტიციის სახლთან შეთანხმებული დიზაინის მქონე საინფორმაციო დაფების განთავსება, რომლებზეც მიეთითება ინფორმაცია ავტოსადგომით მომსახურების ღირებულების თაობაზე;

უ) ავტოსადგომით სარგებლობისათვის დაწესებული მომსახურების ღირებულება, მოიჯარის მიერ განისაზღვროს ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

ფ) საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის გასვლის შემდეგ.

6. მოიჯარე ამ ბრძანების მე-5 პუნქტის „ბ“-„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის ვადაში.

7. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების პროექტი დანართი №4-ის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ან სსიპ - იუსტიციის სახლის შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში, მოიჯარეს წარმოეშობა ვალდებულება გამოათავისუფლოს საიჯარო ქონება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) არ ანაზღაურდება.

9. დაევალოს იუსტიციის სახლის მომსახურების განვითარებისა და გაყიდვების სამსახურს ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge) განთავსება და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი.

10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გივი აზაურაშვილი